

შპს „მონტაჟ ჯორჯია“

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძვლის აბზაცში არსებული გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SME) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება და შეფასება, რომელთა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს 3,294,781 ლარს შეადგენდა, ხოლო 2021 წლის ბოლოს 4,363,985 ლარს, მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით. აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს საშუალებას დასაბუთებულად ვიმსჯელოთ აქტივების სამართლიან ღირებულებაზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

30 სექტემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- საადრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

30 სექტემბერი 2022 წ. თბილისი,

საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2021	01-იან-2021
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	7,815,034	9,651,721
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,495,955	3,513,923
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	3,445,880	1,607,635
გადახდილი ავანსები	7	1,694,796	451,832
საგადასახადო აქტივი		573,930	741,773
მიმდინარე აქტივების ჯამი		17,025,595	15,966,884
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	4,363,985	3,294,781
არამატერიალური აქტივები	9	72,639	21,734
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		4,436,624	3,316,515
სულ აქტივები		21,462,219	19,283,400
კაპიტალი და რეზერვები			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	3,609,622	-
გაუნაწილებელი მოგება	10	10,445,533	12,055,294
საწესდებო კაპიტალი	10	200	200
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		14,055,355	12,055,494
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	940,096	670,179
მიღებული ავანსები	12	6,466,768	6,557,726
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		7,406,864	7,227,905
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		21,462,219	19,283,400

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „მონტაჟ გორჯია“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2021	01-იან-2021
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	7,815,034	9,651,721
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,495,955	3,513,923
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	3,445,880	1,607,635
გადახდილი ავანსები	7	1,694,796	451,832
საგადასახადო აქტივი		573,930	741,773
მიმდინარე აქტივების ჯამი		17,025,595	15,966,884
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	4,363,985	3,294,781
არამატერიალური აქტივები	9	72,639	21,734
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		4,436,624	3,316,515
სულ აქტივები		21,462,219	19,283,400
კაპიტალი და რეზერვები			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	3,609,622	-
გაუნაწილებელი მოგება	10	10,445,533	12,055,294
საწესდებო კაპიტალი	10	200	200
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		14,055,355	12,055,494
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	940,096	670,179
მიღებული ავანსები	12	6,466,768	6,557,726
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		7,406,864	7,227,905
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		21,462,219	19,283,400

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

გიორგი კახიანი



[Handwritten Signature]

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
საოპერაციო შემოსავლები	13	26,320,732	20,247,685
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(15,811,268)	(13,278,657)
საერთო მოგება		10,509,464	6,969,028
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,467,214)	(5,259,399)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		4,042,251	1,709,629
არასაოპერაციო შემოსავლები	13	545,421	1,041,729
არასაოპერაციო ხარჯები	14	(692,178)	(700,413)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		3,895,493	2,050,945
მოგების გადასახადი		(285,872)	(393,879)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		3,609,622	1,657,065
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,609,622	1,657,065

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:


30 სექტემბერი 2022 წ.
 თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
საოპერაციო შემოსავლები	13	26,320,732	20,247,685
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(15,811,268)	(13,278,657)
საერთო მოგება		10,509,464	6,969,028
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,467,214)	(5,259,399)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		4,042,251	1,709,629
არასაოპერაციო შემოსავლები	13	545,421	1,041,729
არასაოპერაციო ხარჯები	14	(692,178)	(700,413)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		3,895,493	2,050,945
მოგების გადასახადი		(285,872)	(393,879)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		3,609,622	1,657,065
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,609,622	1,657,065

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:


30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	12,915,766	12,915,966
დივიდენდის გაცემა	-	(2,517,537)	(2,517,537)
პერიოდის შედეგი	-	1,657,065	1,657,065
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	12,055,294	12,055,494
დივიდენდის გაცემა	-	(1,609,761)	(1,609,761)
პერიოდის შედეგი	-	3,609,622	3,609,622
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	14,055,155	14,055,355

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „მონტაჟ გორჯია“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	200	12,915,766	12,915,966
დივიდენდის გაცემა	-	(2,517,537)	(2,517,537)
პერიოდის შედეგი	-	1,657,065	1,657,065
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	12,055,294	12,055,494
დივიდენდის გაცემა	-	(1,609,761)	(1,609,761)
პერიოდის შედეგი	-	3,609,622	3,609,622
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	14,055,155	14,055,355

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ნათია კახიანი



30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,895,493	1,657,065
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	181,505	179,043
მოგების გადასახადი	(285,871.56)	-
	3,791,127	1,836,108
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	1,836,686	(902,845)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	17,968	1,804,902
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავასნებში	(1,242,965)	(298,672)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	269,918	(30,414)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	167,843	(255,481)
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავასნებში	(90,958.49)	2,103,233.04
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,749,619	4,256,833
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,244,437)	(1,468,787)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(57,177)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,301,614)	(1,468,787)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული/(გადახდილი) დივიდენდი	(1,609,761)	(2,517,537)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,609,761)	(2,517,537)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	1,838,244	270,509
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,607,635	1,337,126
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,445,880	1,607,635

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლების 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,895,493	1,657,065
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	181,505	179,043
მოგების გადასახადი	(285,871.56)	-
	3,791,127	1,836,108
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	1,836,686	(902,845)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	17,968	1,804,902
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავასნებში	(1,242,965)	(298,672)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	269,918	(30,414)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	167,843	(255,481)
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავასნებში	(90,958.49)	2,103,233.04
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,749,619	4,256,833
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,244,437)	(1,468,787)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(57,177)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,301,614)	(1,468,787)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული/(გადახდილი) დივიდენდი	(1,609,761)	(2,517,537)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,609,761)	(2,517,537)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	1,838,244	270,509
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,607,635	1,337,126
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,445,880	1,607,635

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

თავით გახიანი

30 სექტემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

საფირმო სახელწოდება: შპს „მონტაჟ ჯორჯია“-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205258335
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ყოფილი
დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - დავით კახიანი, 01006007920.

მესაკუთრე:
33%-იანი წილის მფლობელი - გიორგი ბოკერია, 01009004912.
67%-იანი წილის მფლობელი - დავით კახიანი, 01006007920.

ძირითადი საქმიანობა:
კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო, სახანძრო, ვიდეომეთვალყურეობის, ავტომატიზაციის და შენობის ცენტრალიზებული მართვის სისტემების პროექტირება და მონტაჟი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. მსს ფასს საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- ❑ 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- ❑ მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- ❑ მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

❑

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ ადრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან დაკორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული საადრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მესამე განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებითი შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

კომპანიის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღია 2008 წლის 2 ივლისი და დაარსების დღიდან დღემდე ბუღალტერიას აწარმოებს საბუღალტრო პროგრამა INFO-ში, ფინანსურ ანგარიშგების შედგენა ევალება ფინანსურ მენეჯერს, ფინანსურ ანგარიშგების მომზადებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვლა.

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-15
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-20
ოფისისაღჭურვილობა	2-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებათა დასრულებით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ღივიდენდები.

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების

გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

სესხები.

სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

ამჟამად ქართული ლარი არ არის აღვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მომსახურების გაწევის და საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ სრულად დაასრულა მომსახურების გაწევა და მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

მსს ფასს-ში განახლება ან ცვლილებები, წინა საანგარიშგებო პერიოდიდან შედგენიდან მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, არ მომხდარა.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16, „ფინანსური იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები	31-დეკ-21	01-იან-21
ნედლეული და მასალები	7,791,571	9,646,758
მზა პროდუქცია	12,937	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	10,482	4,918
დაუმთავრებელი წარმოება	45	45
ჯამი	7,815,034	9,651,721

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-21	01-იან-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,336,309	3,053,922
საგარანტიო თანხა	158,721	459,077
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	925	925
ჯამი	3,495,955	3,513,923

მოცემული სავაჭრო მოთხოვნები შედგება, კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობიდან არსებული მოთხოვნებისგან.

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31-დეკ-21	01-იან-21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,375,686	1,253,261
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	67,331	351,681
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,862	2,694
ჯამი	3,445,880	1,607,635

კომპანიის ფული ბანკში მთლიანად არის განთავსებული სს საქართველოს ბანკის და სს თიბისი ბანკის ანგარიშებზე. ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-21	01-იან-21
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,692,572	451,788
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	2,224	44
ჯამი	1,694,796	451,832

მოცემული ავანსები შედგება, კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისგან.

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	ბიოლოგიური აქტივები	სპეციალური ტექნიკა, მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნარჩენი ღირებულება									
01.01.2021	1,361,269.87	91,507.79	1,472,537.27	15,801.86	149,852.96	695,878.75	114,788.79	368,837.45	4,270,474.74
ზრდა	-	989,950.25	3,170.40	-	200,774.79	76,443.34	-	78,922.39	1,349,261.17
შემცირება	-	-	-	-	(1,573.58)	(14,706.71)	-	(88,544.05)	(104,824.34)
ბალანსი 31.12.2021	1,361,269.87	1,081,458.04	1,475,707.67	15,801.86	349,054.17	757,615.38	114,788.79	359,215.79	5,514,911.57
აკუმულირებული									
ამორტიზაცია 01.01.2021	-	-	303,407.60	-	93,477.69	422,363.60	-	156,444.97	975,693.86
ამორტიზაციის ხარჯი	-	-	61,407.65	-	47,650.34	59,752.06	-	62,874.02	231,684.07
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-	-	(1,335.56)	(9,407.72)	-	(45,707.63)	(56,450.91)
აკუმულირებული									
ამორტიზაცია 31.12.2021	-	-	364,815.25	-	139,792.47	472,707.94	-	173,611.36	1,150,927.02
ნარჩენი ღირებულება									
01.01.2021	1,361,269.87	91,507.79	1,169,129.67	15,801.86	56,375.27	273,515.15	114,788.79	212,392.48	3,294,780.88
ნარჩენი ღირებულება									
31.12.2021	1,361,269.87	1,081,458.04	1,110,892.42	15,801.86	209,261.70	284,907.44	114,788.79	185,604.43	4,363,984.55

კომპანიას არ აქვს ჩატარებული მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება და შეფასება.

9. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	-	47,023.63	47,023.63
ზრდა	10,000.00	47,177.20	57,177.20
შემცირება	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	10,000.00	94,200.83	104,200.83
აკუმულირებული ამორტიზაცია 01.01.2021	-	25,289.38	25,289.38
ამორტიზაციის ხარჯი	632.88	5,639.14	6,272.02
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2021	632.88	30,928.52	31,561.40
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	-	21,734.25	21,734.25
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	9,367.12	63,272.31	72,639.43

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისგან და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან.

10. კაპიტალი და რეზერვები

კომპანიის საწესდებო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 200 ლარს, აკუმულირებული მოგება კი 12 055 295 ლარს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 3 609 622 ლარის მოგება და გასცა 1 609 761 ლარის დივიდენდები.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 14 055 355 ლარი.

საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-21	01-იან-21
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	913,932.05	648,962.56
სსიპ საპენსიო სააგენტო	13,691.70	6,507.50
შენატანები საპენსიო ფონდში	12,472.67	12,353.51
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	2,355.23
ჯამი	940,096.42	670,178.80

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებებისგან.

12. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	31-დეკ-21	01-იან-21
მიღებული ავანსები	6,466,768	6,557,726

კომპანიას მიღებული ავანსების ყველაზე დიდი ნაშთი შპს „ევრომონტაჟი“-ს მიმართ გააჩნია.

13. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები	2021 წლი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	26,336,234	20,255,805
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(15,501)	(8,121)
ჯამი	26,320,732	20,247,684

შემოსავალი შედგება ელექტრო სამონტაჟო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლისგან და ელექტრო საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლისგან:

არასაოპერაციო შემოსავლები	2021 წლი	2020 წელი
შემოსავალი დადებითი საკურსო სხვაობები	250,122.56	759,707.25
შემოსავალი დივიდენდებიდან	147,000.00	200,000.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	148,298.33	81,837.87
საპროცენტო შემოსავლები	-	183.85
ჯამი	545,420.89	1,041,728.97

კომპანიას აქვს არამაკონტროლებელი წილი (49 %) შპს „ევრო მონტაჟი“ რომლისგან იღებს დივიდენდებს.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2021 წლი	2020 წელი
შეძენილი მომსახურების თვითღირებულება	15,662,125	12,938,266
დამხმარე მასალების დანახარჯები	122,838	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	16,225	-
მიწოდების სხვა ხარჯები	10,279	340,391
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(200)	-
ჯამი	15,811,268	13,278,657

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021 წლი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება	5,213,959	4,074,707

სოციალური დანარიცხები	241,423	334,171
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	237,956	179,043
სხვა საერთო ხარჯები	156,285	139,359
საპენსიო ფონდი	98,804	79,566
საგარანტიო მომსახურების საკომისიო ხარჯი	77,566	120,814
მივლინების ხარჯები	60,090	57,675
საკონსულტაციო ხარჯები	57,612	32,745
ელექტროენერგიის და გაზის ხარჯი	42,051	27,673
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	35,982	29,353
კომუნიკაციის ხარჯები	35,216	32,735
საბანკო ხარჯები	33,878	49,069
მივლინებების ხარჯები (ბილეთების და სასტუმროების ღირებულება)	32,231	10,696
წარმომადგენლობითი ხარჯი	30,828	13,817
სხვა საგადასახადო ხარჯები	27,752	21,106
რემონტის ხარჯები	27,573	15,896
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	21,154	12,207
დაზღვევის ხარჯები	13,569	10,736
საკანცელარიო ხარჯები	9,369	13,139
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	9,274	-
რეკლამის ხარჯები	2,517	1,513
საბაჟოზე გაწეული ხარჯები (ექსპორტი)	1,600	-
იჯარის ხარჯი	432	271
კომპიუტერის ხარჯები	95	187
საწვავის ხარჯები	-	2,080
შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	-	840
ჯამი	6,467,214	5,259,398

16. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები	2021 წლი	2020 წელი
უარყოფითი საკურსო სხვაობები	557,383	419,247
უიმედო ვალი IFRS	130,067	280,905
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	4,729	260
ჯამი	692,178	700,413

17. რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

კომპანიას 2018 წელს არ გააჩნდა სესხები, მაგრამ ასეთის არსებობის შემთხვევაში როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს განახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები") მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

18. დაკავშირებული მხარეები

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორები: 33%-იანი წილის მფლობელი - გიორგი ბოკერია, 01009004912;

67%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი - დავით კახიანი, 01006007920;

კომპანიები: შპს ევრომონტაჟი ს/ნ: 401991109.

სს საქაბელი ს/ნ: 230026888.

შპს რექსუს ს/ნ: 402097084.

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

მოთხოვნების დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შპს ევრომონტაჟი	128,055	249,933
სს საქაბელი	-	95,021
შპს რექსუსი	-	-
ჯამი	128,055	344,954

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შპს ევრომონტაჟი	22,435	-
სს საქაბელი	25,242	16,504
შპს რექსუსი	-	-
ჯამი	47,677	16,504
გაცემული ავანსების ნაშთი დაკავშირებულ ხარეებზე	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შპს რექსუსი	80,000	91,409
შპს ევრომონტაჟი	-	-
სს საქაბელი	-	-
ჯამი	80,000	91,409
მიღებული ავანსების ნაშთი დაკავშირებული მხარეებისგან	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
შპს ევრომონტაჟი	3,258,648	893,160
სს საქაბელი	-	-
შპს რექსუსი	-	-
ჯამი	3,258,648	893,160
მიღებული შემოსავლები დაკავშირებული მხარეებისგან	2021 წელი	2020 წელი
შპს ევრომონტაჟი	1,040,562	2,222,446
სს საქაბელი	422,654	129,721
შპს რექსუსი	-	-
ჯამი	1,463,216	2,352,167
ხარჯები გაწეული დაკავშირებულ მხარეებზე	2021 წელი	2020 წელი
სს საქაბელი	1,576,506	3,589,461
შპს რექსუსი	1,202,650	383,830
შპს ევრომონტაჟი	24231	32,127
ჯამი	2,803,387	4,005,418
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები და სხვა განაცემები	180,988	163,672

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

მმართველობის ანგარიშგება

დოკუმენტში ასახულია შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს (შემდგომში - კომპანია) ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები. აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო იყოს კომპანიის საქმიანობის სპექტრი. კომპანიის რესურსები ორიენტირებულია ახალი ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობაზე და კონტროლზე.

კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული მისია - რომელიც გაჯერებულია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და აქვს პრეტენზია, რომ საქმიანობისადმი დამოკიდებულებით თავის სფეროში წარმოადგენდეს საწარმოს, რომელიც ნერგავს საერთაშორისო დონის სტანდარტებს.

1. მისამართი, დამფუძნებლები და მმართველობა

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 2 ივლისს.

- შპს „მონტაჟ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად.
- კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ყოფილი დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, გიორგი პაპაშვილის ქუჩა #19.
- საიდენტიფიკაციო ნომერია: 205258335
- კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.
- კომპანიის დირექტორი მისი დაარსების დღიდან დღემდე არის დავით კახიანი (01006007920).
- კომპანიის დამფუძნებელი არიან:

	წილი, %
01006007920, დავით კახიანი	67%
01009004912, გიორგი ზოკერია	33%
სულ	100%

დაფუძნების დღიდან მუდმივად მიმდინარეობდა კომპანიის საქმიანობის გაფართოება და ზრდა. 2021 წელს კომპანიას დასაქმებული ყავს 177 თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განვითარებას და კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის შესაბამისი განათლების მქონე. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია. ჩვენი სპეციალისტები პერიოდულად გადიან სტაჟირებას პარტნიორ უცხოურ კომპანიებში და გააჩნიათ სათანადო ლიცენზია/ნებართვა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ინსტალაციაზე და მომსახურებაზე დაშვების.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ელექტრო, სახანძრო. ვიდეომეთვალყურეობის. ავტომატიზაციის და შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი, ელექტრო-საპროექტო სამუშაოები.

როგორც მუდმივად მზარდი და განვითარებადი კომპანიის - „მონტაჟ ჯორჯია“-ს მიერ ჩატარებული სამუშაოების მასშტაბები და დანერგილი ტექნოლოგიები მის პოზიციებს ბაზარზე კიდევ უფრო მეტად ამყარებს და შემდგომში წარმატებული განვითარების წინაპირობას ქმნის. კომპანიის მენეჯმენტის პრიორიტეტების ფარგლებში ინტენსიურად ხდება და მომავალშიც გაგრძელდება ნოვეტორული მიღწევების დანერგვა და სულ უფრო მეტად გამრავალფეროვნებული პროდუქციის თუ მომსახურების შეთავაზება.

აღსანიშნავია, რომ „მონტაჟ ჯორჯიამ“ მოახდინა საქართველოში პირველი, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ობიექტების მონტაჟი, - როგორიცაა BMS სისტემა (შენობების ცენტრალიზებული მართვის სისტემები). რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის სწრაფვას უსაფრთხოების, ეკონომიის და მაღალი ხარისხისადმი. კომპანიას დაგეგმილი აქვს აღნიშნული სისტემების მონტაჟის და დანერგვის აქტიური ზრდა.

„მონტაჟ ჯორჯია“ მსოფლიოში ცნობილი ფრანგული კომპანიის Schneider Electric-ის ფარების ამწყობი ლიცენზირებული ფირმაა და ასევე შვედურ-შვეიცარული კორპორაცია ABB-ს, გერმანული Weidmuller-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. აგრეთვე კომპანია სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ გიგანტ კომპანიებთან როგორც არის: Honeywell, Faber, Nexans, Erse, Ersoy Pano, Onka, Ardic Electric, Onka, LUG, Pelsam, Amper, Pelco და მრავალი სხვა მსხვილი კომპანია თავის სფეროში. კომპანია აქტიურად მუშაობს რომ აღნიშნულ კომპანიებთან კიდევ უფრო

გააღრმავოს თანამშრომლობა სხვადასხვა მსხვილი პროექტების ფარგლებში. უახლოესი წლების განმავლობაში კომპანია გეგმავს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა კერძო და სახელმწიფო ტენდერებში და იქიდან გამომდინარე, რომ გააჩნია დიდი გამოცდილება მსხვილი პროექტების შესრულებისა, კომპანია ვარაუდობს, რომ თანდათანობით თავის შემოსავალს გაზრდის.

3. გამოცდილება, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

1964 წელს საქართველოში „ელექტრო სამონტაჟო სამმართველო“ შეიქმნა. რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ელექტრო სამონტაჟო სამონტაჟო საქმიანობაში და შესრულებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი ენერგო პროექტი შოთა კახიანის და დავით კახიანის უშუალო ხელმძღვანელობით. 2008 წელს მათ კერძო სამონტაჟო კომპანია შპს „მონტაჟ ჯორჯია“ დაარსეს.

კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების გარანტირებული მაღალი ხარისხი, მოქნილი და კვალიფიციური მენეჯმენტი, გამოცდილი ინჟინერთა პერსონალი და მუშახელი, სანდო, ავტორიტეტული პარტნიორები მსოფლიოში ცნობილი კომპანიების სახით - ეს ის უპირატესობებია, რითაც მოცემულ სეგმენტში „მონტაჟ ჯორჯია“ წამყვან პოზიციაზე მდგომ კომპანიადა იქცა.

დესდღეობით კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო, სახანძრო, ვიდეომეთვალყურეობის. ავტომატიზაციის და შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი და ელექტრო-საპროექტო სამუშაოები, კერძოდ:

- კაბელირება და საკაბელო კონსტრუქციების მონტაჟი;
- ქვესადგურის მშენებლობა;
- მაღალი ძაბვის გამანაწილებელი ქვესადგურის მოწყობა;
- ახალი და ტრადიციული სანათების და განათების სისტემების მიწოდება და მონტაჟი;
- შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი;
- მაღალი ძაბვის უჯრედების მონტაჟი;
- დამიწების და მეხამრიდის სისტემების მიწოდება და მონტაჟი;
- გენერატორები და უწყვეტი კვების წყარო;
- ტრანსფორმატორების მიწოდება-მონტაჟი;
- ელექტრო გამანაწილებელი ფარების აწყობა და მიწოდება-მონტაჟი;
- ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მიწოდება-მონტაჟი და პროგრამირება;
- სახანძრო და გახმოვანების სისტემის მიწოდება-მონტაჟი და პროგრამირება;
- სასწრაფო გამოძახების სისტემა შშმ. პირთათვის;
- შენობის ელექტრომომარაგების მონიტორინგის სისტემის მონტაჟი და პროგრამირება;

- ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები;
- ელექტრო-საპროექტო სამუშაოები;
- MV სისტემა და კაბელირება;
- LV სისტემა;
- დისტანციური მართვის სისტემები;
- საბორნე ხიდის მართვის სისტემის რეაბილიტაცია;
- გათბობა გაგრილების და სავენტილაციო სისტემები;

4. კომპანიის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები ლარებში. როგორც მონაცემებიდან შეგიძლიათ იხილოთ 2020 წლის შემოსავალი შემცირებულია 2019 წლის შემოსავალთან შედარებით, რაც გამოწვეულია კორონავირუსის - COVID-19 გავრცელებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები არსებითად გაუმჯობესებულია 2020 წლის შესადარის პერიოდთან მიმართებით.

ფინანსური კოეფიციენტები	2019	2020	2021
მიმდინარე აქტივები	16 044 281	15 966 884	17,025,595
მიმდინარე ვალდებულებები	5 155 086	7 227 905	7 406 864
საბრუნავი კაპიტალი (WC)	10 889 195	8 738 979	9 618 731

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო სამი წლის განმავლობაში:

ფინანსური მაჩვენებელი	2019	2020	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	27 864 965	20 247 685	26 320 732

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო სექტორთან და კომპანიის საქმიანობის შესაბამის სფეროში არსებულ რისკებთან, თუმცა კომპანია რეგულარულად ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, რის შედეგადაც იქმნება კონტროლის მექანიზმები. კომპანიის ძირითად რისკს წარმოადგენს სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილებების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია თავისი საქმიანობის განსახორციელებლად იყენებს იმპორტირებულ დანადგარებს და საქონელს და იქედან გამომდინარე, რომ ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადად ევროში ან აშშ დოლარში, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ კომპანიას გაეზარდოს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება.

2020 წელს გავრცელებული ახალი კორონავირუსის - COVID-19 გავრცელებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფუნქციონირებაზე, კომპანიას აქვს მიმდინარე პროექტები, რომელთა ხანგრძლივი შეჩერებაც არ მომხდარა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანეობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერი:

დავით კახიანი
შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს დირექტორი

შპს „მონტაჟ ჯორჯია“
 მმართველობითი ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარებში)

მმართველობის ანგარიშგება

დოკუმენტში ასახულია შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს (შემდგომში - კომპანია) ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები. აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო იყოს კომპანიის საქმიანობის სპექტრი. კომპანიის რესურსები ორიენტირებულია ახალი ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობაზე და კონტროლზე.

კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული მისია - რომელიც გაჯერებულია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და აქვს პრეტენზია, რომ საქმიანობისადმი დამოკიდებულებით თავის სფეროში წარმოადგენდეს საწარმოს, რომელიც წერგავს საერთაშორისო დონის სტანდარტებს.

1. მისამართი, დამფუძნებლები და მმართველობა

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 2 ივლისს.

- შპს „მონტაჟ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად.
- კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ყოფილი დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, გიორგი პაპაშვილის ქუჩა #19.
- საიდენტიფიკაციო ნომერია: 205258335
- კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.
- კომპანიის დირექტორი მისი დაარსების დღიდან დღემდე არის დავით კახიანი (01006007920).
- კომპანიის დამფუძნებელი არიან:

	წილი, %
01006007920, დავით კახიანი	67%
01009004912, გიორგი ბოკერია	33%
სულ	100%

დაფუძნების დღიდან მუდმივად მიმდინარეობდა კომპანიის საქმიანობის გაფართოება და ზრდა. 2021 წელს კომპანიას დასაქმებული ყავს 177 თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განვითარებას და კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის შესაბამისი განათლების მქონე. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია. ჩვენი სპეციალისტები პერიოდულად გადიან სტაჟირებას პარტნიორ უცხოურ კომპანიებში და გააჩნიათ სათანადო ლიცენზია/ნებართვა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ინსტალაციაზე და მომსახურებაზე დაშვების.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ელექტრო, სახანძრო. ვიდეომეთვალყურეობის, ავტომატიზაციის და შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი, ელექტრო-საპროექტო სამუშაოები.

როგორც მუდმივად მზარდი და განვითარებადი კომპანიის - „მონტაჟ ჯორჯია“-ს მიერ ჩატარებული სამუშაოების მასშტაბები და დანერგილი ტექნოლოგიები მის პოზიციებს ბაზარზე კიდევ უფრო მეტად ამყარებს და შემდგომში წარმატებული განვითარების წინაპირობას ქმნის. კომპანიის მენეჯმენტის პრიორიტეტების ფარგლებში ინტენსიურად ხდება და მომავალშიც გაგრძელდება ნოვატორული მიღწევების დანერგვა და სულ უფრო მეტად გამრავალფეროვნებული პროდუქციის თუ მომსახურების შეთავაზება.

აღსანიშნავია, რომ „მონტაჟ ჯორჯიამ“ მოახდინა საქართველოში პირველი, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ობიექტების მონტაჟი, - როგორიცაა BMS სისტემა (შენობების ცენტრალიზებული მართვის სისტემები). რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის სწრაფვას უსაფრთხოების, ეკონომიის და მაღალი ხარისხისადმი. კომპანიას დაგეგმილი აქვს აღნიშნული სისტემების მონტაჟის და დანერგვის აქტიური ზრდა.

„მონტაჟ ჯორჯია“ მსოფლიოში ცნობილი ფრანგული კომპანიის Schneider Electric-ის ფარგლის ამწყობი ლიცენზირებული ფირმაა და ასევე შვედურ-შვეიცარული კორპორაცია ABB-ს, გერმანული Weidmuller-ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. აგრეთვე კომპანია სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ გიგანტ კომპანიებთან როგორც არის: Honeywell, Faber, Nexans, Erse, Ersoy Pano, Onka, Ardic Electric, Onka, LUG, Pelsam, Amper, Pelco და მრავალი სხვა მსხვილი კომპანია თავის სფეროში. კომპანია აქტიურად მუშაობს რომ აღნიშნულ კომპანიებთან კიდევ უფრო გააღრმავოს თანამშრომლობა სხვადასხვა მსხვილი პროექტების ფარგლებში. უახლოესი

წლების განმავლობაში კომპანია გეგმავს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა კერძო და სახელმწიფო ტენდერებში და იქიდან გამომდინარე, რომ გააჩნია დიდი გამოცდილება მსხვილი პროექტების შესრულებისა, კომპანია ვარაუდობს, რომ თანდათანობით თავის შემოსავალს გაზრდის.

3. გამოცდილება, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

1964 წელს საქართველოში „ელექტრო სამონტაჟო სამმართველო“ შეიქმნა. რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ელექტრო სამონტაჟო სამონტაჟო საქმიანობაში და შესრულებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი ენერგო პროექტი შოთა კახიანის და დავით კახიანის უშუალო ხელმძღვანელობით. 2008 წელს მათ კერძო სამონტაჟო კომპანია შპს „მონტაჟ ჯორჯია“ დაარსეს.

კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების გარანტირებული მაღალი ხარისხი, მოქნილი და კვალიფიციური მენეჯმენტი, გამოცდილი ინჟინერთა პერსონალი და მუშახელი, სანდო, ავტორიტეტული პარტნიორები მსოფლიოში ცნობილი კომპანიების სახით - ეს ის უპირატესობებია, რითაც მოცემულ სეგმენტში „მონტაჟ ჯორჯია“ წამყვან პოზიციაზე მდგომ კომპანიად იქცა.

დესდღეობით კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო, სახანძრო, ვიდეომეთვალყურეობის. ავტომატიზაციის და შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი და ელექტრო-საპროექტო სამუშაოები, კერძოდ:

- კაბელირება და საკაბელო კონსტრუქციების მონტაჟი;
- ქვესადგურის მშენებლობა;
- მაღალი ძაბვის გამანაწილებელი ქვესადგურის მოწყობა;
- ახალი და ტრადიციული სანათების და განათების სისტემების მიწოდება და მონტაჟი;
- შენობის ცენტრალიზებული მართვის (BMS) პროექტირება და მონტაჟი;
- მაღალი ძაბვის უჯრედების მონტაჟი;
- დამიწების და მეხამრიდის სისტემების მიწოდება და მონტაჟი;
- გენერატორები და უწყვეტი კვების წყარო;
- ტრანსფორმატორების მიწოდება-მონტაჟი;
- ელექტრო გამანაწილებელი ფარების აწყობა და მიწოდება-მონტაჟი;
- ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მიწოდება-მონტაჟი და პროგრამირება;
- სახანძრო და გახმოვანების სისტემის მიწოდება-მონტაჟი და პროგრამირება;
- სასწრაფო გამოძახების სისტემა შშმ. პირთათვის;
- შენობის ელექტრომომარაგების მონიტორინგის სისტემის მონტაჟი და პროგრამირება;
- ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები;

შპს „მონტაჟ ჯორჯია“
 მმართველობითი ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარებში)

- ელექტრო-საპროექტო სამუშაოები;
- MV სისტემა და კაბელირება;
- LV სისტემა;
- დისტანციური მართვის სისტემები;
- საბორნე ხიდის მართვის სისტემის რეაბილიტაცია;
- გათბობა გაგრილების და სავენტილაციო სისტემები;

4. კომპანიის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები ლარებში. როგორც მონაცემებიდან შეგიძლიათ იხილოთ 2020 წლის შემოსავალი შემცირებულია 2019 წლის შემოსავალთან შედარებით, რაც გამოწვეულია კორონავირუსის - COVID-19 გავრცელებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები არსებითად გაუმჯობესებულია 2020 წლის შესადარის პერიოდთან მიმართებით.

ფინანსური კოეფიციენტები	2019	2020	2021
მიმდინარე აქტივები	16 044 281	15 966 884	17,025,595
მიმდინარე ვალდებულებები	5 155 086	7 227 905	7 406 864
საბრუნავი კაპიტალი (WC)	10 889 195	8 738 979	9 618 731

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო სამი წლის განმავლობაში:

ფინანსური მაჩვენებელი	2019	2020	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	27 864 965	20 247 685	26 320 732

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „მონტაჟ ჯორჯია“
მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარებში)

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო სექტორთან და კომპანიის საქმიანობის შესაბამის სფეროში არსებულ რისკებთან, თუმცა კომპანია რეგულარულად ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, რის შედეგადაც იქმნება კონტროლის მექანიზმები. კომპანიის ძირითად რისკს წარმოადგენს სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილებების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია თავისი საქმიანობის განსახორციელებლად იყენებს იმპორტირებულ დანადგარებს და საქონელს და იქედან გამომდინარე, რომ ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადად ევროში ან აშშ დოლარში, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ კომპანიას გაეზარდოს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება.

2020 წელს გავრცელებული ახალი კორონავირუსის - COVID-19 გავრცელებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფუნქციონირებაზე, კომპანიას აქვს მიმდინარე პროექტები, რომელთა ხანგრძლივი შეჩერებაც არ მომხდარა.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერი:

დავით კახიანი
შპს „მონტაჟ ჯორჯია“-ს დირექტორი

